



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 50
28/09/2020

50-09-4-202009281437



ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე“ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-9 მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე“ (ს/კ 231286836) გასცეს ადმინისტრაციული დაპირება თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (საკადასტრო კოდი 53.20.46.188.) 2016 წლის 01 ივლისს გაფორმებული N2/ი-2016 იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 5 წლით გაგრძელების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

